აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №57

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (09-01-08/18, 27.10.2026 წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს განხილვის პროცედურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად გადაეცეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციას.

3. წამყვან კომიტეტად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

4. დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციაში განხილვის განრიგი (თან ერთვის).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე **ცოტნე ანანიძე**

ბათუმი,
29 ოქტომბერი, 2026 წელი
№20

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს
2026 წლის 29 ოქტომბრის №57 გადაწყვეტილების

დ ა ნ ა რ თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და ბიუჯეტის შესაბამისი (2027-2030 წლების) პრიორიტეტების დოკუმენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში

გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

N	დასახელება	წამყვან კომიტეტში დასკვნების წარმოდგენის ბოლო ვადა
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
4	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
5	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
6	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი	18.11.2026წ.
7	ფრაქცია „ქართული ოცნება“	12.11.2026წ.
8	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	12.11.2026წ.